## სავედრებელი ლოცვა

ჰოი, მოწყალეო დედოფალო, შენსა მეოხებისა მიმართ მოვილტვით დღეს, ლოცვასა ჩვენსა ნუ უგულებელს-ჰყოფ, არამედ მოწყალედ ისმინე ჩვენი, შვილთა, დედათა და მემოვრალეობისა მწარისა ხმისა მოწყლულთა გოდებისა და ვედრებანი დედისა ჩვენისა ქრისტეს ეკლესიისანი და აღადგინენ დაცემულნი ძმანი, დანი და ნათესავნი ჩვენნი ყოველნი.

ჰოი, მოწყალეო დედაო ღვთისაო, მიეახლე გულთა მათთა და მსწრაფლ განკურნენ იგინი წარმწყმედელისა ცთომილებისაგან და მხსნელი მოთმინება მიჰმადლე მათ, ევედრე ძესა შენსა ქრისტესა ღმერთსა ჩვენსა, რათა შეგვინდვნეს ჩვენ შეცოდებანი ჩვენნი და არა განაშოროს წყალობა თვისი ერისაგან თვისისა, არამედ განგვამტკიცნეს ჩვენ სიფხიზლესა და უმანკოებასა შინა.

შეიწირენ, ყოვლადწმიდაო ღმრთისმშობელო, ლოცვანი და ცრემლნი დედათანი, დათხეულნი შვილთა თვისთათვის. შეიწირენ მოთქმანი ცოლთანი ქმართა ზედა თვისთა მტირალთა და ობოლთა და ლატაკთა პირმშოთა, რომელნი დაუტევეს შეცთომილთა ამათ და ჩვენიცა



ყოველთა, რომელნი შეუვრდებით ხატსა შენსა, რათა მიეახლოს სულთქმაი ჩვენი შენდა მიმართ შეწირული საყდარსა ღმრთისა მაღლისასა.

დამიფარენ და დამიცვენ ჩვენ ეშმაკისა მახეთა და ყოველთა მბრძოლთა ჩვენთაგან, შეგვეწიენ საშინელსა დღესა განსლვისა ჩვენისასა, რათა მშვიდობით განვვლნეთ ზეცისა საზვერეთა და ღირს ვიქმნეთ სასუფეველსა ცათასა, უკუნითი უკუნისამდე, ამინ.